

# „ქრონიკას“ ესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა

გაზეთი „კვირის ქრონიკა“ – 9-15 ივლისი, № 28, 2912.

– ბატონო ლადო, თქვენ კარგად იცნობთ მიშასაც, ვანოსაც და იმ მინისტრებსაც, რომლებიც გადაადგილდნენ, თუ შეიძლება, ამისხენით, რას გველადავებიან? სხვათა შორის, მე ვიყავი პარლამენტში, როცა მერაბიშვილი დაამტკიცეს თავის „სასტავთან“ ერთად და სიმართლე გითხრათ, არ დატოვა ამ კაცმა ჭკვიანი მენეჯერის შთაბეჭდილება.

– სიტყვა „მენეჯერი“ მთავრობის წევრთან მიმართებაში შეცდომაა. მთავრობაში რომ გაიძახიან, კარგი მენეჯერები ვართო, ეს მათ უცოდინრობას უსვამს ხაზს. მენეჯერი არის ბიზნესში, სახელმწიფოს სჭირდება მმართველი. ბიზნესის მართვა არის ორიენტირებული მოგებაზე, სახელმწიფოს მმართველობა – ხალხის კეთილდღეობაზე. მენეჯერობას იბრალებდა ასევე ზურაბ ნოღაიდელიც და ვერ ხვდებოდა, რომ სიბრიყვეს იბრალებდა. როცა ვანოზე იგივეს იძახიან, მის როლს აკნინებენ, რა, შინაგან საქმეთა სამინისტრო ბიზნეს-კომპანიაა? სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლების წევრებს დიდ განათლებას ვერ დავწამებთ, მაგრამ მსგავსი სიბრიყვეები ოპოზიციიდანაც ისმის. რაც შეეხება სამთავრობო გადაადგილებებს, ერთი შეხედვით, მორიგ „კარუსელს“ ჰგავს, ერთი ადამიანი მოიყვანეს ცოტა უცხო და ისიც იმ ბიზნესიდან, რომელიც სახელმწიფო დაკვეთებზე მუშაობდა. გამოდის, მაინც თავიანთი გუნდის წევრი შეარჩიეს. ამ ადამიანს არანაირი ფუნქცია არა აქვს და არც ექნება. რაც შეეხება პრემიერ მინისტრს, შეგახსენებთ, რომ საქართველოს ზურაბ ჟვანიას შემდეგ რეალური პრემიერ-მინისტრი არ ჰყოლია. ნოღაიდელი პრაქტიკულად იყო ფინანსთა მინისტრი, გურგენიძე – უიდეო ადამიანი, მასთან იდეები მოდიოდა კახა ბენდუქიძისგან. გვყავდა პაროდიული ფიგურა მაგალობლიშვილის სახით, რომელმაც თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა, „უჩინმაჩინის ქუდი“ ესურა.

– მან თავი იმით დაგვამახსოვრა, რომ სააკაშვილმა ვაზა ესროლა ერთხელ.

– კი, ეს ითქვა... რაც შეეხება გილაურს, ეს იყო ადამიანი, რომელიც ხელს არავის არ უშლიდა და არც ქვეყანას მართავდა. ამ დროს ყველას ჰქონდა განცდა, რომ ქვეყანა იმართებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. პოლიციურ რეჟიმში მერაბიშვილი აღმოჩნდა საკმაოდ ძლიერი ფიგურა, რაც მოულოდნელი იყო იმათთვის, ვინც მანამდე იცნობდა მას. მოკლედ, ის, რაც აქამდე ვანოს ევალებოდა არაფორმალურად, ახლა უნდა გააკეთოს ფორმალურად. ამ ცვლილებისთანავე გაჩნდა კითხვა: მერაბიშვილი უფრო გაძლიერდებოდა თუ უფრო დასუსტდებოდა? აქ ორი შესაძლო სცენარი იყო... პირველი – ის გაძლიერდებოდა, თუ შეინარჩუნებდა კონტროლს შინაგან საქმეთა სამინისტროზე, მეორე – პოლიციას სათავეში ჩაუყენებდნენ ისეთ პიროვნებას, რომელიც ყველა საყრდენს გამოაცლიდა მერაბიშვილს. გათამაშდა მეორე სცენარი, პოლიციაში დანიშნეს ბაჩო ახალაია, ეს ადამიანი არის დიდოსტატი შინაგანი საკადრო წმენდის. რაც მან ციხეებში და თავდაცვის სამინისტროში გააკეთა, ამის შემდეგ კიდევ უფრო სერიოზული წმენდა

აქვს ჩასატარებელი პოლიციაში. ჩემთვის ყველაზე ნიშანდობლივი იყო უტიაშვილის წასვლა. შოთა ნამდვილად არ გახლდათ დამსჯელი უწყების ხელმძღვანელი, მაგრამ წარმოადგენდა იდეების გენერატორს. მე მას ვიცნობ ძალიან კარგად, ჩემი სტუდენტი იყო, ვიცი მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები. ბევრი ისეთი სტუდენტიც მყოლია, მრცხვენია, მაგრამ ის მართლაც გამოირჩეოდა ყველასგან. ახლა შევეხოთ მეორე საკითხს: მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკაში, მან არაერთხელ გაუკეთა რევერანსი ვანო მერაბიშვილს, შეაქო და არც თანამშრომლობა გამორიცხა. ამით შესაძლოა, ხელისუფლებაში ბზარი გაჩენილიყო მერაბიშვილთან დაკავშირებით, ანუ ნდობა შესუსტდა მის მიმართ. აქ უკვე საჭირო გახდა ვანოს ჩამოცილება და პოლიციის გაწმენდა. ამ ხელისუფლებას გარდა ძალოვანი მეთოდებისა, სხვა არანაირი რესურსი არ გააჩნია. არის კიდევ ერთი მომენტი: როცა ივანიშვილმა გააკეთა გარკვეული მოწოდებები მომავალ ეკონომიკურ პროგრამასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ თქვა, ეს არის პოპულიზმი და სისულელე, ქვეყანას დაანგრევს „ქართული ოცნებაო“. ახლა საჭირო იყო, მეორე მხრიდან ვიღაცას ეთქვა მსგავსი რაღაცა. ამათ იფიქრეს, მოდით, ეს თქვას იმან, ვინც შეაქო ივანიშვილმა, ანუ ივანიშვილს დაუპირისპირდეს მერაბიშვილი. „ნაციონალების“ ეს დაპირებები სასაცილოა და თუ მაინც და მაინც ხალხმა უნდა იცინოს, იცინოს არა სააკაშვილზე, არამედ მერაბიშვილზეო. საინტერესო რა არის, იცით? როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, მერაბიშვილს შეეძლო დუმილი. საერთოდ, დუმილი არის ძალიან კარგი ფორმა, რომ საკუთარი თავი ჭკვიანად წარმოაჩინო. შესანიშნავი ფრინველია ბუ, რომელიც სიმბოლურად სიბრძნის გამოხატულებაა. მართლა ბრძენი კი არ არის, უბრალოდ გამომეტყველება აქვს ასეთი.

– როგორც კი ბუ დაიჩნავლებს, ეგრევე მიხვდები, რომ სულელია.

– (იცინის) ჰოდა, ახლა მერაბიშვილი, როგორც პრემიერ-მინისტრი, ჩუმაღ ვერ იქნება. მას სხვა გზა არა აქვს, ამის შემდეგ ქართველ ჟურნალისტებსაც უნდა ელაპარაკოს, თავისი დაპირებებიც უნდა გააპიაროს, ხალხსაც უნდა შეხვდეს. ამიტომ, ვანო რაც მეტს ილაპარაკებს, მით მეტი პრობლემები შეექმნება. ვიმეორებ, თუ აქამდე სააკაშვილი უნდა ყოფილიყო სამხიარულო ფიგურა, ახლა მერაბიშვილიც გადაინაწილებს ამ ფუნქციას. სხვათა შორის, გილაურსაც ჰქონდა ბრიყვული გამოთქმები, შეგახსენებთ 2008 წლის ბიუჯეტს, როცა მან პროექტი წარმოადგინა, ამტკიცებდა, რომ ინფლაცია ატამმა გამოიწვიაო. რა ატამი, რი ატამი? კიდევ ერთი მომენტი: მერაბიშვილის გაპრემიერებით სააკაშვილი უკვე ელაქუცება რუსეთს. თვითონ ვანომ მოუბოდიშა ქართულ მედიას, აქამდე არ გწყალობდითო. ის ძალიან კარგად თანამშრომლობდა რუსულ მედიასთან და რუსებიც ამას აღიქვამდნენ კარგად, ხშირად ლაპარაკობდნენ რეფორმირებულ პოლიციაზე. გავისხენოტ ერთი ფაქტი... ორიოდე თვის წინ პარლამენტში მისულმა მერაბიშვილმა ხმამაღლა თქვა, ფულს სუნი არ უდისო და იქვე დაუმატა, რომ საქართველოში უნდა შემოვიდეს რუსული კაპიტალი. ასევე ვანოს ეკუთვნის ფრაზა: „შინაგან საქმეთა სამინისტრო უფრო პოპულარულია, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობა“. ახლა თუ რამეს გააკეთებს მერაბიშვილი, „ნაციონალებს“ ჩათვლებათ, თუ ვერ გააკეთებს, მისი ბრალი იქნება.

– ჩემი აზრით, მერაბიშვილი ამდენს ვერ გაქაჩავს.

– მე ვფიქრობ სხვანაირად, „ნაციონალური მოძრაობა“ თავის სააკაშვილიანად ვერ გაქაჩავს. ჯერ ერთი, სააკაშვილი ვერ მოითმენს თავისზე უფრო პოპულარულ ადამიანს.

– როდესაც პარლამენტში ვიყავი და საკუთარი თვალით ვნახე მთავრობის დამტკიცების პროცესი, შევამჩნიე ერთი უჩვეულო რამ... დაფუშვით, ადრე სააკაშვილი მოვიდოდა, ან მინისტრები მოვიდოდნენ და ვინმე მათ აუხტებოდა პარლამენტში, უმრავლესობის წევრები ყელში სწვდებოდნენ, ლამის მუშტი-კრივზე გადადიოდნენ, ცინიკურად იქცეოდნენ. ახლა არ ჰქონდათ ასეთი მძაფრი რეაქცია... შეიძლება ფიქრობდნენ, ვანო გამოვა და ყველაფერს დააღაგებსო, მაგრამ ვერაფერიც ვერ დააღაგა, ერთმა ჯონდი ბალათურამ გადაუარა კატოკივით.

– რაც არის, ეგ არის „ნაციონალების“ რესურსი, არა ჰყავთ მაგათ ბელტიყლაპიაშვილი ან ღობეგლეჯიაშვილი, ვინ შეიძლებოდა მიეღო საზოგადოებას და თანაც მიშაზე პოპულარულიც არ ყოფილიყო? იმ დაპირებებს, რომელიც წარმოადგინეს, ვინ დაიჯერებს? „მეტი სარგებელი ხალხს“, ეს არის ინგლისური კალკი, უნდა იყოს: „მეტად სასარგებლო ხალხისათვის“. პირველ რიგში ესენი ქართულში ჩაიჭრნენ. თუმცა ეს არც პირველია, არც უკანასკნელი. მე ვნახე სამთავრობო საიტი და იქ არავითარი დოკუმენტი არ დევს, ბოლო ინფორმაციები დათარიღებულია 2011 წლით, გილაურის დოკუმენტებიც კი არ დევს, 2012 წელს ვგულისხმობ. ასე რომ, მერაბიშვილის ტექსტი არ გამხდარა საჯარო. ის, რაზეც თვითონ ილაპარაკეს, არანაირ პროგრამას არ წარმოადგენს, ეს არის ისევ და ისევ მოწოდებები, დაპირებები და სადღეგრძელოები. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, რომ ითქვას, 2004 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობას არასოდეს არ ჰქონია დაწერილი პროგრამა. სულ იყო მოწოდებები, სურვილები, ისევ სადღეგრძელოები. ყოველივე ამას პლაგიატობაც დაემატა. კერძოდ, ბევრი რამ ემთხვევა ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს, ოღონდ ყველაფერი გამრავლებულია ოთხზე. თუ ივანიშვილმა თქვა, რომ სოფლის მეურნეობისთვის ყოველწლიურად იქნება გამოყოფილი ერთი მილიარდი ლარი, მთავრობა იძახის, ოთხ წელიწადში იქნება ოთხი მილიარდიო. აშკარად დაგვცინიან, ხუთი მილიარდი მაინც ეთქვათ? ელემენტარული არითმეტიკაა. თუ ივანიშვილმა თქვა, ყველას ექნება დაზღვევაო, ესენიც ამბობენ, ყველას ექნება ოთხ წელიწადშიო. არც ივანიშვილს უთქვამს, ყველა დაეზღვევა პირველივე წელსო. თუ არ ვცდები, ივანიშვილმა თქვა ოზურგეთში, ჩვენ აღარ მოგაყენებთ შეურაცხყოფას ვაუჩერებითო, ესენი ამბობენ, ვაუჩერებს მოგცემთ და გაგაგრძელებთ შეურაცხყოფის მოყენებასო. კიდევ, 1000-ლარიანი ვაუჩერი ოთხი წლის განმავლობაში. გამოდის, შენ ამ ხნის განმავლობაში არაფერს არ აპირებ და ისევ ვაუჩერზე უნდა მამყოფო. მოკლედ, ჩვენ ახალი არაფერი არ მოგვისმენია, მერაბიშვილს არავითარი დასაბუთება არ წარმოუდგენია.

– მერაბიშვილს რომ სტატისტიკა და ციფრები საერთოდ აღარ აინტერესებს, ეგ როგორ მოგწონთ? მიშამაც კვერი დაუკრა, სანამ სოფელ ხრეთში მოვალთ, ციფრები მანამდე გვაინტერესებსო. არადა, ესენი სულ ციფრებით აბოლებენ ხალხს.

– აქამდე მთავრობას და სააკაშვილს ციფრები აინტერესებდათ იმისთვის, რომ გაეყალბებინათ სურათი. ამისხნას მერაბიშვილმა, სად არის ის 10-პუნქტიანი გეგმა, ოქტომბერში რომ ატეხეს ერთი ამბავი? ან თებერვალში სააკაშვილმა 5-პუნქტიან გეგმაზე რომ ილაპარაკა, რატომ აღარავინ ახსენებს? სხვათა შორის, ჩვენ

ვერაფერს ვიტყვით ასევე ოპოზიციასაც, იქიდანაც მხოლოდ დაპირებები ისმის. ვიცი, რომ პროგრამაზე მუშაობს „ქართული ოცნების“ გუნდი, თუმცა ამ გუნდის ძირითადი გზავნილები მერაბიშვილმა უკვე გააქურდა. იმედია, „ქართული ოცნება“ დადებს პროგრამას და არა ისეთივე სადღეგრძელოებს, როგორც დაღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“, და თუ „ქართული ოცნება“ ამას ვერ მოახერხებს არც მის კრიტიკას მოვერიდები. კიდევ ერთი, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ვანო მერაბიშვილი კრისტალური პიროვნებაა, ძალიან ცდება, მაგას ყოველთვის შეახსენებენ 7 ნოემბერს, 26 მაისს და სანდრო გირგვლიანს. რა წარმატებას მიაღწია შინაგან საქმეთა სამინისტროში, რით გამოიხინა თავი, უიარაღო ხალხის ცემით?

– **ამიტომაც არჩევს მერაბიშვილი ამ საკითხებთან დაკავშირებით დუმილს.**

– მოუწევს დუმილის დარღვევა... ვიმეორებ, თუ ვანო მოიგებს არჩევნებს, ანუ ყველაზე კარგად გააყალბებს, მაშინ ის ძლიერი პოლიტიკური ფიგურა ხდება. თუ ვერ მოიგებს, მაშინ განწირულია. სხვათა შორის, ამ დღეებში მქონდა შეხვედრა ერთ ამერიკელ ექსპერტთან, საკმაოდ მაღალი რანგის მოღვაწესთან, ასაკოვანი კაცია და ის ყოველთვის იყო დაახოებული მაღალ ეშელონებთან. მან პირდაპირ მითხრა: ჩვენთვის საქართველო სულ სხვა რამ არის, ვიდრე აზერბაიჯანი ან სომხეთი, ამერიკელებს იმდენი თანხები გვაქვს აქ ჩადებული დემოკრატიის განვითარების კუთხით, არც ერთ შემთხვევაში არ მოვითმენთ, რომ სააკაშვილი დარჩეს ხელისუფლებაში, ეს ნიშნავს ამერიკული დემოკრატიის ხელყოფასო. ამაზე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ წავალთ, გინდა ობამა დარჩეს თეთრ სახლში და გინდა – რომნი შევიდეს ახალი არჩევნების შემდეგ, სააკაშვილს არავინ აპატიებს იმ თანხების გაფლანგვას, რომელიც დემოკრატიის განვითარებისთვის გამოიყო. დიას, გაფლანგვად ჩავუთვლით, თუ ის დარჩება ხელისუფლებაშიო.

– **ეს ძალიან სერიოზული და კარგი განცხადებაა.**

– რა თქმა უნდა, კარგია და სწორედ ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ სააკაშვილი უნდა წავიდეს.

**გელა ზედელაშვილი**